

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო პედაგოგიურ ჟურნალ
„სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება

ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში

№2. 1982

რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო — ეს ყავლგაუსვლელი ჭეშმარიტება დღესაც აქტუალურად ჟღერს. ჩვენი საფიხვნოს მონაწილეთა ერთი ნაწილი ადრე შეიკრიბა და აზრთა მაშინდელი აღებმიცემობა კიდევ აისახა ერთ-ერთ რადიოგადაცემაში, ხოლო როდესაც ყველანი საბოლოოდ უნდა შევეყრილიყავით საფიხვნოდ, მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიის სწავლული მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე გიგინეიშვილი. რედაქციამ გამოიყენა ივანე გიგინეიშვილის მეთაურობით ჩატარებული ზემოაღნიშნული გადაცემის მასალებიც; ამიტომაც ზის ეს დიდი მოამაგე ქართული ენისა ჩვენი საფიხვნოს თავს. მის გარდა საუბარში მონაწილეობას იღებენ საქინფორმის დირექტორის მოადგილე, მთარგმნელი ოთარ კაპანაძე, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ქართული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ენგურ ჟურციკიძე, თსუ პროფესორი ბესარიონ ჯორბენაძე და ჩვენი დამატების რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე.

#11#

ბესიკ ჯორბენაძე

...ენა ჩვენი კაცობის

გვირგვინია, ჩვენი ვინაობის

მაცნე კაცობრიობის

ისტორიაში...

ეროვნული ერთიანობის იდეა, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ენის, ერთიანი სახელმწიფო ენის ფაქტორით განისაზღვრებოდა.

მონათესავე ტომებისაგან ერის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფოებრივი ერთიანობა უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ თვით ერად კონსოლიდაციის პროცესი იწყება მხოლოდ ერთიანი ენის არსებობის შემთხვევაში.

#12#

ეროვნული კონსოლიდაციისათვის აუცილებელი ხდება სავალდებულო ენობრივი სტანდარტების გამომუშავება, რადგან ერთიანი ეროვნული ენა ერთნაირად მისაღები უნდა იყოს ერის შემადგენელი ყველა ტომისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სალიტერატურო ენა.

ენის მოვლა, მისი დახვეწა და გავითარება ყოველი კულტურული ერის უპირველესი საზრუნავია. ამიტომაც ხდება ენა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი.

დღეს უკვე აღარაა სადავო ის, რომ ენა, იგულისხმება სალიტერატურო ენა, საჭიროებს გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული ენობრივი პოლიტიკის გამომუშავება. ენათმეცნიერი არა მხოლოდ ენაში არსებულ კანონებს უნდა ეძიებდეს და იკვლევდეს, არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე უნდა ქმნიდეს და წარმართავდეს ენის შემდგომი განვითარების გეზს.

ცივილიზებული ერების თანამედროვე ენობრივი მშენებლობა აშკარად სტანდარტიზაციის ნიშნით მიმდინარეობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მატულობს ენის მიმართ ინფორმაციულობის სიზუსტის მოთხოვნა.

გონივრული მიდგომა ამ შემთხვევაში ამ ტენდენციის აკრძალვა კი არ იქნება, არამედ სწორი ორიენტაციის მიცემა. ენაში უნდა დაიდებნოს ის პოტენციური მონაცემები, რომლებიც ენას დაეხმარება თავის შესაძლებლობათა სრულ გამოვლინებასა და გამოყენებაში.

რა თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები უნდა გადაიჭრას საქართველოში მართებული ენობრივი პოლიტიკის წარმატებით გასატარებლად?

რასაკვირველია, არავითარ შედეგს არ გამოიღებს უნიადაგო დირექტივებისა და იდეალური პირობებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების წამოყენება. მიემა უნდა წარიმართოს არსებული ვითარების შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების მოპოვების გზით ქართული ენის სიწმინდისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

ეს არ ნიშნავს (და არც შეიძლება ნიშნავდეს) ქართული ენის იზოლირებას. პირიქით, იზოლირება აუძლურებს

#13#

ენას, სხვა ენებთან გონივრული ურთიერთობა კი ამდიდრებს და იმავდროულად თვითშენარჩუნებისათვის საჭირო იმუნიტეტს გამოუმუშავებს მას.

თავისი დანიშნულებით ენა უწინარეს ყოვლისა სოციალური ღირებულების მქონე ფენომენია. ენა მისი მქონებლის არა მხოლოდ ეროვნული ვინაობის მაცნეა, არამედ მისი საზოგადოებრივი ყოფა-მოქმედების უმთავრესი წარმომჩენელიცაა.

ეროვნულ მონაპოვართა შორის ენა უმთავრესია, ხოლო ენის დაცვა, დახვეწა და განვითარება უწინარეს პირობად გულისხმობს მართებული ენობრივი პოლიტიკის საფუძველზე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდას.

ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.

მშობლიურ ენას, როგორც წესი, ახალგაზრდა ოჯახში ეუფლება, მაგრამ ენისადმი შეგნებული, მოქალაქეობრივი დამოკიდებულების აღზრდა სკოლიდან იწყება.

ეროვნული სკოლა მოწოდებულია მშობლიურ ენაზე შეასწავლოს მოსწავლე ახალგაზრდობას მეცნიერების საფუძვლები, გზა გაუხსნას სხვა ენების ღრმად დაუფლებისაკენ.

მეორე, მნიშვნელოვანი ეტაპია მისაღები გამოცდები.

ივ. გიგინეიშვილი: უკანასკნელ წლებში თქვენ თავმჯდომარეობდით ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიას უნივერსიტეტში. რა მდგომარეობაა აბიტურიენტთა ნაწერებში ენობრივი თვალსაზრისით?

ბ. ჯორბენაძე: ამ გამოცდების მიზანია სათანადო ფაკულტეტებისათვის შეარჩიოს ახალგაზრდა, მომავალი სპეციალისტი, რომელიც დაუფლებულია მეცნიერების საფუძვლებს, გაცნობილია ამა თუ იმ მეცნიერებისათვის სავალდებულო ფაქტებს და უნარი აქვს შემოქმედებითად

#14#

გამოიყენოს ისინი, ანუ აქვს მეცნიერული აზროვნების ელემენტები.

ენა აზროვნების უშუალო გამოვლინებაა. ენის მართებული ფლობა ბევრად განსაზღვრავს აზროვნების დახვეწილებას. ნათელი, ზუსტი და ტევადი სტილი ეპოქის მოთხოვნილებაა და თანამედროვე ახალგაზრდამ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ეს მოთხოვნილება.

ამიტომაც არის, რომ ყველა სპეციალობის აბიტურიენტს ევალება გამოცდის ჩაბარება დედაენასა და მშობლიურ ლიტერატურაში.

მისაღები გამოცდების ხანგრძლივი პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არის. უეჭველია, რომ თანამედროვე ახალგაზრდას უყვარს თავისი დედაენა, ამაყობს თავისი მშობლიური ენით და ყოველ ღონეს ხმარობს მის დასაცავად და დასახვეწად, მაგრამ იმავდროულად უცილობელია ის ფაქტიც, რომ მას ხშირად არ ჰყოფნის ცოდნა და სავსებით სავსებით გააზრებული დამოკიდებულება ამ კეთილშობილური მიზნის

მისაღწევად. აბიტურიენტის ნაწერებში ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება სტილისტურად გაუმართავი ფრაზები, გაუმართლებელი, პროვინციული მაღალფარდოვნება, უგემოვნო „მხატვრულობა“, სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი დიალექტიზმები. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ზოგჯერ ისეა გამჯდარი აბიტურიენტის შეგნებაში, რომ შეუძლებელი ხდება მისი დარწმუნება ამგვარი ნაშრომის ენობრივ სიმდარეში.

რამდენიმე წლის წინ მისაღები გამოცდები იყო საბოლოო ინსტანცია, სადაც აბიტურიენტთა უმეტესობისათვის მთავრდებოდა დედაენის კანონთა ცოდნის შემოწმება. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის აბიტურიენტები, რომლებიც თავის სპეციალობად ენასა და ლიტერატურას ირჩევდნენ. ყველა დანარჩენი ამ ამხრივ საკუთარ ინიციატივას იყო შეტოვებული. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში ეს ვითარება შეიცვალა.

#15#

გამოთვლილია, რომ ერი, რომელიც უარს იტყვის დედაენაზე სამეცნიერო ლიტერატურის შექმნაზე, ყოველწლიურად ათი წლით ჩამორჩება სხვა ერებს, რომელთა ენებზეც იქმნება ამ სახის ლიტერატურა. ასე რომ, ენის ფაქტორს ამ შემთხვევაში პრინციპული, ეროვნული ღირებულება ენიჭება. ამიტომაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის მშობლიური ენის მეტყველების კულტურის კურსის შემოღების შესახებ სავსებით დროული და მართებული ღონისძიება გახლავთ. ეს არის ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი დებულების გონივრული ხორცშესხმა.

ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის ქართული მეტყველების კულტურის კურსის შემოღება ფრიად დიდ და მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ თუ ორგანიზაციულ საკითხებთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა საჭირო გახდა თითოეული სპეციალობის თავისებურებათა გათვალისწინება და მეტყველების კულტურის კურსის შესაბამისი აგება. ამჯერად ეს სირთულე ნაწილობრივ მაინც დაძლეულია, თუმცა დასახვეწი და დასადგენი ჯერ კიდევ

ბევრი რამაა. თითოეული კურსი სამ მონაკვეთს მოიცავს: შესავალი — ზოგადი ხასიათის ცნობები, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, შემდეგ — ქართული მეტყველების კულტურის საერთო, ყველასათვის სავალდებულო საკითხები და, ბოლოს, თითოეული სპეციალობის შესაბამისი, სპეციფიკური პრობლემები: ტერმინოლოგია, სამეცნიერო სტილი, სპეციფიკური სიტყვათმეხამებანი. ამასთან დაკავშირებით უკვე შეიქმნა სპეციალური ლიტერატურა, მუშავდება სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

ზემოაღნიშნული კურსის შემოღებასთან დაკავშირებით გადაისინჯა სასწავლო პროგრამები და დატვირთვები, დღის წესრიგში დადგა კადრების მომზადების საკითხიც.

ასე რომ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამაა, მაგრამ

#16#

კეთილი მონდომებით, ვიმედოვნებთ, ყველაფერი მოგვარდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმძღვანელოების ენის დახვეწის საკითხს. ეს ეხება როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებს. არაერთხელ აღნიშნულა, რომ არა მხოლოდ ნათარგმნი, არამედ ზოგჯერ ორიგინალური სახელმძღვანელოების ქართული კრიტიკას ვერ უძლებს: მძიმე, გაურანდავი ფრაზები, ღვარჭნილი სტილი, მჭლე და უსახური მეტყველება, ფრიად ზედაპირული ცოდნა მშობლიური ენის კანონებისა — უღიმღამოს ხდიან შინაარსობრივად იქნებ მნიშვნელოვან ნაშრომსაც. უფრო დიდი ცოდვა კიდევ ის არის, რომ ამ ნაშრომით სარგებლობს ახალგაზრდობა და ძალაუწიებურად ითვისებს ყოვლად მიუღებელ გამოთქმებს, ფრაზებს, სტილს.

მართალია, იგივე ახალგაზრდა რუსთველისა და ილიას მადლიან ქართულსაც ეცნობა, მაგრამ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ნიაღვარში ჩვენი კლასიკა ფრიად მოკრძალებულ ულუფად მოჩანს და ახალგაზრდის ცნობიერებაში უფერული და მკვდარი სამეტყველო ტრაფარეტების განუკითხავ მოზღვავენას ვეღარ ერევა.

ბოლო ხანებში ამ მხრივაც მოინიშნა გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. მაგალითად, გამომცემლობა „განათლების“ ხელმძღვანელობის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური საბჭო, რომელსაც ევალება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა დახვეწა ენობრივი თვალსაზრისით. ამ საბჭოში ფრიად კომპეტენტური სპეციალისტები მოღვაწეობენ და მათი მუშაობის სასიკეთო შედეგი უკვე ხელშესახებად ჩანს.

ქართული სალიტერატურო ენისადმი ამგვარი, სახელმწიფოებრივ რანგში აყვანილი, მზრუნველობა შემთხვევითი ფაქტი, რა თქმა უნდა, არ არის.

სალიტერატურო ენა არის ეროვნული ენის უმაღლესი ფორმა. იგი საერთოა და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს, ხელს უწყობს ერის კონსოლიდაციას

#17#

და აზიარებს ერს მსოფლიო ლიტერატურასა და მეცნიერების მიღწევებს.

სალიტერატურო ენის განვითარებისა და დახვეწის სამი ძირითადი ფაქტორი მოქმედებს:

პირველი და უმთავრესი არის განვითარების შინაგანი, იმანენტური იმპულსი.

შემდეგ — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ კილოებთან ურთიერთობას.

დაბოლოს, ყოველი სალიტერატურო ენა მდიდრდება სხვა ენებთან ურთიერთობითაც (ძირითადად, თარგმნილი ლიტერატურის გზით).

მიზანი ნათელია: ქართულმა ენამ უნდა შეინარჩუნოს მთავარი — იყოს ადეკვატური თანამედროვე აზროვნებისა.

დასაძებნია კონკრეტული საშუალებანი ამ მიზნის განსახორციელებლად.

ქართული ენათმეცნიერების ფასეული ტრადიციები მყარ საფუძველს ქმნიან ამ მიზანდასახულების წარმატებით გადასაჭრელად.

ეროვნულ საქმეთაგან ენის მოვლა, მისი სიმდიერის, გამომხატველობითი უნარის განვითარება უპირველესი საკითხია, ამიტომაც აისახა იგი ჩვენს კონსტიტუციაში.

ჩვენი ენა ჩვენივე კაცობის გვირგვინია, ჩვენი ვინაობის მაცნე კაცობრიობის ისტორიაში და მას ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ.